განმარტებითი ბარათი

„2022 წლის 15 ნოემბრის „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების“ №1 ცვლილების“ შესახებ

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 მარტის №538 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 29 მარტის №80 ბრძანების საფუძველზე საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის 2022 წლის 30 მარტს ხელი მოეწერა „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმებას (საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა)“, რომლის ფარგლებშიც IBRD-მა საქართველოს გამოუყო 358.500.000 ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი სესხის სახით.

პროგრამის მიზანია, საქართველოში ადამიანური კაპიტალის მიწოდების სისტემა გახდეს უფრო ეფექტური და ინკლუზიური. აღნიშნული მიზნის ფარგლებში, პროგრამა ითვალისწინებს რეფორმების განხორციელებას შემდეგ სექტორებში: განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა. პროგრამა მოიაზრებს ისეთი შედეგების მიღწევას, როგორიცაა: განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორებში ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე გაწეული ხარჯების ეფექტიანობის გაზრდა; ინკლუზიურობის გაზრდა განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორებში ადამიანური კაპიტალის მიმართულებით გაწეული ხარჯების ხარისხის გასაუმჯობესებლად; განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორებში ადამიანური კაპიტალის მიწოდების ყველა მიმართულებით ციფრული სისტემების ერთმანეთთან კავშირის გაუმჯობესება.

პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ზემოხსნებული პროგრამის თანადაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 ნოემბრის №2111 განკარგულების საფუძველზე, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის ხელმოწერილი საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების ფარგლებში, საფრანგეთის განვითარების სააგენტომ (AFD) საქართველოს გამოუყო 100.000.000 ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი სესხის სახით, რომლის მიხედვითაც სააგენტო დააფინანსებს ადამინური კაპიტალის განვითარების პროგრამას ზემოაღნიშნული მიზნების გათვალისწინებით. საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმება რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 4 აპრილის №2677-XIმს-Xმპ დადგენილებით. აღნიშნული ჩარჩოშეთანხმების ვადა კი განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 წლით (2025 წლის 15 ნოემბერი).

შეთანხმების შესაბამისად, რესურსების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ას მილიონ ევროს (100,000,000 ევრო), ამასთანავე, პირველი ტრანშის მოცულობა უნდა იყოს ორმოცდაათი მილიონი ევრო (50,000,000 ევრო) და ჩარჩოშეთანხმების ფარგლებში ხელმისაწვდომი ტრანშების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩარჩოშეთანხმების ფარგლებში პირველი ტრანშის გააქტიურების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 აგვისტოს №1477 განკარგულების საფუძველზე, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის 2023 წლის 17 აგვისტოს ხელი მოეწერა რესურსის დამტკიცების ფორმას, რომლითაც, AFD-მ ზემოხსენებული ჩარჩოშეთანხმების ფარგლებში ხელმისაწვდომი გახადა მსესხებლისთვის პირველი ტრანში შემდეგი ფინანსური პირობებით:

- სესხის მოცულობა: 50 მილიონი ევრო;
- სესხის ხანგრძლივობა: 20 წელი, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 5 წელი;

- საპროცენტო განაკვეთი: ფიქსირებული (საორიენტაციო - 3,96%) ან ცვლადი (6 თვიან EURIBOR-ს +მარჟა 0,80%) საპროცენტო განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთის ოდენობა დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის სახეზე. ტრანშის ფარგლებში თითოეული ჩამორიცხვის განხორციელებამდე დონორის მიერ განსაზღვრული და მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს მიერ მოხდება, ჩამორიცხვის საპროცენტო განაკვეთის სახის შერჩევა და აღნიშნულის შესაბამისად განისაზღვრება ჩამორიცხვის საპროცენტო განაკვეთი.

ამ ეტაპისთვის, საფრანგეთის განვითარების სააგენტო მზადაა ხელმოწერილი ჩარჩოშეთანხმების ფარგლებში გააქტიუროს მეორე ტრანში 50 მლნ ევროს ოდენობით, ამ მიზნით კი წარმოდგენილია ჩარჩოშეთანხმების №1 ცვლილება, რომლის ფარგლებშიც 2022 წელს ხელმოწერილი ჩარჩოშეთანხმების ვადის გახანგრძლივება ხდება 9 თვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 ივნისის №1161 განკარგულების საფუძველზე, 2026 წლის 2 ივნისს ხელი მოეწერა 2022 წლის 15 ნოემბრის „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების“ №1 ცვლილებას“.

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.